

მოწმეთა ჩვენებები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალწარმოებაში: ჩვენების მომზადების სახელმძღვანელო



European Human Rights
Advocacy Centre



Middlesex
University
London

მომზადებულია
ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის მიერ
მიდლსექსის უნივერსიტეტი, ლონდონი
2019 წლის აგვისტო

სარჩევი

მოწმეთა ჩვენებების როლი	3
რატომ არის მოწმეთა ჩვენებები მნიშვნელოვანი?	3
როდის უნდა მოხდეს მოწმეთა ჩვენებების წარდგენა?	4
გასაუბრებისთვის მომზადება.....	5
გასაუბრების მიმდინარეობისას.....	5
ჩვენებების მომზადება: გასათვალისწინებელი საკითხები.....	7
ჩვენება უნდა შეიცავდეს მკაფიო და კონკრეტულ დეტალებს	7
ნუ წარადგენთ გაგონილ ამბავზე დაფუძნებულ/ირიბ ჩვენებას, თუ აღნიშნულის თავიდან აცილება შესაძლებელია.....	8
ჩვენება გადმოცემული უნდა იყოს მოწმის სიტყვებით.....	8
ჩვენება არ უნდა შეიცავდეს სამართლებრივ დასკვნებს ან არგუმენტებს.....	9
დარწმუნდით, რომ ჩვენება შეიცავს საქმისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხს,.....	
ჩვენებას დაურთეთ ნებისმიერი დამადასტურებელი ან გამამყარებელი მტკიცებულება	10
ჩვენებისათვის საბოლოო სახის მიცემა.....	10
ინფორმაციის განახლება.....	10
ანონიმურობა	11
დანართი 1: იმ საკითხების მაგალითები, რომლებიც უნდა აისახოს ჩვენებებში.....	12
კითხვები ყველა მოწმისათვის	12
დამატებითი კითხვები იმ მოწმეებისათვის, რომლებიც თავად არიან მსხვერპლნი	13
დანართი 2: მოწმის ჩვენება (ნიმუში).....	17

მადლობას ვუხდით კლერ დარტს და დედოფლის მრჩეველ ტიმ ოტის, წინამდებარე სახელმძღვანელოს პირველი გამოცემის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის, რომელიც 2008 წელს გამოქვეყნდა.

მოწმეთა ჩვენებების როლი

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (სასამართლო) ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) სახელმწიფოებო ორგანოში საქმისწარმოება იწყება მსხვერპლის ან მისი წარმომადგენლის მიერ განაცხადის წარდგენით. განაცხადი, როგორც წესი, შეიცავს მოკლე ინფორმაციას მსხვერპლის შესახებ; მოკლე მიმოხილვას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) ან სხვა კონვენციისა თუ საერთაშორისო პაქტის სავარაუდო დარღვევების შესახებ; და მოკლე ინფორმაციას მსხვერპლის მიერ სასამართლოს ან სახელმწიფოებო ორგანოსადმი განაცხადით მიმართვის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით. განაცხადის წარდგენისას, ან, ზოგიერთ შემთხვევაში, მოგვიანებით, განმცხადებელი ან მისი წარმომადგენელი წარადგენს უფრო სრულყოფილ ინფორმაციას კონვენციის/პაქტის სავარაუდო დარღვევების შესახებ. როდესაც აღნიშნული ინფორმაცია იმ მტკიცებულებას ეყრდნობა, რომელიც მოპოვებულ იქნა მსხვერპლისგან ან საქმისთვის შესაბამისი ცოდნის ან კომპეტენციის მქონე სხვა პირებისგან, მაშინ, საჭიროა, რომ მათი ჩვენებები სასამართლოს/სახელმწიფოებო ორგანოს წარედგინოს მოწმის ჩვენების სახით.

რატომ არის ჩვენებები მნიშვნელოვანი?

საერთაშორისო სასამართლოები თითქმის ყველა საქმეს მხოლოდ წერილობითი დოკუმენტაციის საფუძველზე განიხილავენ, ე.ი. ზეპირი მოსმენის გარეშე, რომლის დროსაც მოწმეები შეძლებდნენ ჩვენების პირადად მიცემას. ზეპირი მოსმენის დანიშვნის შემთხვევაშიც კი, მოწმეს ნაკლებად ექნება შესაძლებლობა, სასამართლოს ან გაეროს შესაბამის კომიტეტს უამბოს ყველაფერი, რაც საქმესთან დაკავშირებით იცის. აქედან გამომდინარე, მსხვერპლის ან მომხდარის შესახებ ინფორმაციის მქონე სხვა პირების ხელთ არსებული შესაბამისი მტკიცებულების განხილვის უზრუნველყოფის ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება მოწმეთა ჩვენებებია.

სამოქალაქო სამართლის ქვეყნებში, ეროვნულ დონეზე მიმდინარე სამართალწარმოებისას ხშირად საგამოძიებო ორგანოები ან/და პროკურატურა მომჩივნებისა და მოწმეებისგან იღებს ჩვენებებს, ხოლო ეს ჩვენებები ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მტკიცებულებითი საფუძველი (ზეპირ მტკიცებულებებთან ერთად) შესაძლოა იყოს. თუმცა, საერთაშორისო დონეზე ასეთი ჩვენებები, შესაძლოა, არასრულფასოვნად იქნას მიჩნეული სხვადასხვა მიზეზის გამო: თუკი ჩვენება არის ძალიან ზედაპირული; ჩვენების ფარგლები ძალიან ვიწროდ არის შეზღუდული; იგი არის “ტენდენციური” და საგამოძიებო ორგანოების იმდროინდელ კონკრეტულ ინტერესებს ასახავს. ამასთან, ეროვნულ დონეზე მიმდინარე წარმოების ფარგლებში საგამოძიებო ორგანოების მიერ

მოპოვებული ჩვენებები, შესაძლოა, საერთოდ არ ეხებოდეს იმ საკითხს, რაც საერთაშორისო დონეზე წარმოიშობა - მაგალითად, დისკრიმინაციის განცდას და მსხვერპლებისთვის მტკიცებულებებს ჩადენილ დარღვევათა ეფექტების შესახებ. უარეს შემთხვევაში, გამომძიებლების მიერ აღებულ ჩვენებებში განზრახ არის გამოტოვებული ისეთი საკითხები, რომლებიც მომხდარის “ოფიციალურ ვერსიაში” არ ჯდება, ან მოწმეებზე განხორციელდა ზეწოლა, რათა მათ ეთქვათ ან გამოეტოვებინათ გარკვეული საკითხები. უფრო მეტიც, ასევე, შესაძლებელია, რომ საგამომძიებლო ორგანოებმა საერთოდ ვერ შეძლეს განსაზღვრული მოწმეების იდენტიფიცირება, მოძებნა და დაკითხვა (რაც, ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, გამიზნულად მოხდა).

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ყოველთვის აუცილებელია მოწმისგან ახალი, სრული და საკმარისად დეტალური ჩვენების აღება, რომელიც შეიცავს საერთაშორისო დონეზე წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებულ ამომწურავ ფაქტობრივ ინფორმაციას. ჩვენების ხელახლა აღებასთან დაკავშირებული რაიმე პროცედურული შეზღუდვა არ არსებობს.

სამართლებრივ არგუმენტებს, რომლებიც ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება იქნას დაყენებული, უნდა ადასტურებდეს მტკიცებულებები, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებები. ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ განაცხადი, შესაძლოა, წარუმატებელი აღმოჩნდეს, თუკი მოწმეთა ჩვენებებსა და სხვა მტკიცებულებებში არ არის საკმარისი დეტალები წარმოდგენილი. სასამართლო ან კომიტეტი უფლებამოსილია, საკმარისი მტკიცებულების წარმოუდგენლობის საფუძველზე დაასკვნას პრეტენზიის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით (მაგალითად, იხ. [ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამართლოს რეგლამენტის წესი 44C](#)) ან დაადგინოს, რომ განაცხადი არის დაუსაბუთებელი. ანალოგიურად, კომპენსაციის მოთხოვნის განაცხადი (მხოლოდ სასამართლოს წინაშე), ცნობილი როგორც „სამართლიანი დაკმაყოფილება“, შესაძლოა, სრულად ან ნაწილობრივ უარყოფილ იქნას, თუ ჩვენებებში არ იქნება მითითებული მსხვერპლისათვის მიყენებული ზიანისა და მისი გამოწვევი მიზეზების დამადასტურებელი საკმარისი ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ისეთი ჩვენებების მომზადება, რომლებიც შეიცავს რაც შეიძლება მეტ დეტალს ყველა იმ საკითხზე, რომელიც რელევანტურია სასამართლოში/გაეროს სახელშეკრულებო ორგანოში შეტანილი კონკრეტული დარღვევის მიმართ.

როდის უნდა მოხდეს მოწმეთა ჩვენებების წარდგენა?

მოწმეთა ჩვენებები შესაძლოა, საჭირო გახდეს სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე, მათ შორის:

- განაცხადთან ერთად წარსადგენად;

- საქმეში ბოლოდროინდელი განვითარებების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად;
- მთავრობის მიერ წარდგენილ დოკუმენტებსა თუ არგუმენტებზე პასუხის გასაცემად;
- ზიანის ან კონკრეტული ღონისძიების მოთხოვნის გასამყარებლად.

გასაუბრებისთვის მომზადება

თითოეულ მოწმეს შეხვდით ცალ-ცალკე.

მოწმესთან შეხვედრამდე წინასწარ მოამზადეთ იმ კითხვების ჩამონათვალი, რომელიც უნდა დაუსვათ მოწმეს გასაუბრების დროს. ეს დაგეხმარებათ, რომ მოწმესთან გასაუბრების დროს შეეხოთ ყველა საჭირო საკითხს. ეს ასევე, დაგეხმარებათ, მოწმე მიმართოთ თქვენთვის საჭირო ინფორმაციის მოწოდებისკენ და თავიდან აგაცილებთ ისეთი საკითხების განხილვას, რომლებსაც მათი ჩვენების მოსამზადებლად რელევანტური არ არის. მაშინაც კი, თუ თქვენ არ ფლობთ რაიმე ზოგად ინფორმაციას მომხდართან დაკავშირებით და არ იცით, თუ რა შეიძლება, გითხრათ მოწმემ, არსებობს რამდენიმე ძირითადი კითხვა, რომელიც ყოველთვის უნდა დასვათ და სასურველია, რომ გასაუბრება ამ კითხვებით დაიწყოს (იხ. ქვემოთ [“იმ საკითხთა მაგალითები, რომელიც უნდა აისახოს ჩვენებებში”](#)).

ყურადღებით უნდა იყოთ, რომ მოწმის დაკითხვისას მოერიდოთ მიმახვედრებელი კითხვების დასმას. მიმახვედრებელია ისეთი კითხვა, რომელიც პასუხს შეიცავს - მაგალითად, “ჯარისკაცმა გცემათ?” ან “მსხვერპლს სასტიკად სცემეს, არა?” უმჯობესია, რომ მოწმემ საკუთარი ისტორია თავისი სიტყვებით გადმოსცეს, ამიტომ, დასვით ზოგადი ან ღია კითხვები, როგორცაა: “რა შეგემთხვათ?” “როდის მოხდა ეს?” ან “სად იმყოფებოდა მსხვერპლი ამ დროს?”

ხშირად, ინფორმაციის მიღება ყველაზე მარტივია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ასე, თქვენ შეძლებთ, დასვათ კითხვები იმ ნებისმიერი შეუსაბამობის შესახებ, რომელიც გამოვლინდება თხრობის დროს. დასვით ისეთი კითხვები, როგორცაა: “რა მოხდა შემდეგ?” რათა მოწმემ თანმიმდევრულად მოყვეს განვითარებული მოვლენები.

გასაუბრების მიმდინარეობა

სრულყოფილად ჩაინიშნეთ მოწმის პასუხები მათივე სიტყვების გამოყენებით. თუ თარჯიმანთან ერთად მუშაობთ, დარწმუნდით, რომ თარჯიმანი თქვენს კითხვებს და მოწმის პასუხებს სრულად და ზუსტად სვამს.

გასაუბრების მიმდინარეობისას თქვენს მიერ შედგენილი კითხვების ნუსხას დაამატეთ სხვა კითხვებიც, რათა არაფერი გამოგრჩეთ. თუ მოწმის მიერ

ჩვენების მიცემის პროცესში თქვენთვის რაიმე გაუგებარია, სთხოვეთ, განმარტოს.

მოწმის მიერ გადატანილი ემოციური ტრავმის, მისი ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის და შესაძლებლობის გათვალისწინებით, ერთი ხანგრძლივი ინტერვიუს ნაცვლად, შესაძლებელია, უფრო გონივრული იყოს მოკლე გასაუბრებების ციკლი. გასაუბრებისას დააკვირდით მოწმის ქცევას, თუ ატყობთ, რომ მოწმე ძალიან ადელდა ან განერვიულდა, ან რაიმე სხვა მიზეზის გამო სჭირდება შესვენება, გააკეთეთ შესვენება ან შეწყვიტეთ გასაუბრება.

თუ მოწმესთან ატარებთ გასაუბრებების ციკლს ჩვენების დასასრულებლად, მასთან ყოველი შეხვედრის წინ განსაზღვრეთ, თუ რა საკითხებს უნდა შეეხოს. გადახედეთ უკვე მოპოვებულ ინფორმაციას, მოახდინეთ ხარვეზებისა თუ შეუსაბამობების იდენტიფიცირება მოწმის მონათხრობში და მათ შესახებ მოწმეს მომდევნო შეხვედრაზე დაუსვით კითხვები. არ გაიმეოროთ კითხვები, რომლებიც უკვე იკითხეთ და რომლებზეც მიიღეთ პასუხი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დამატებითი ინფორმაციის მიღება ან დეტალების დაზუსტება გსურთ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც მოწმე იხსენებს მოვლენებს, რომლებმაც მას ტრავმა მიაყენა.

თუ მოწმეთა მიერ გადმოცემულ მოვლენებში არის დროში წყვეტა, დასვით კონკრეტული კითხვები იმის თაობაზე, თუ რა მოხდა და როგორი თანმიმდევრობით. მაგალითად, თუ მოწმე ამბობს, რომ მოვლენათა განვითარების შემდეგ 4 საათის განმავლობაში მას არ უძებნია დაკარგული ნათესავი, ჰკითხეთ რატომ და სთხოვეთ, განმარტოს, თუ რა ხდებოდა დროის ამ მონაკვეთში. თუ მოწმემ პოლიციაში დაკითხვისას მისცა თქვენთვის მიცემული ჩვენებისგან განსხვავებული ჩვენება, მას აღნიშნულის თაობაზე ჰკითხეთ. ხანდახან კითხვის სხვაგვარად ფორმულირება ხელს უწყობს შეუსაბამობების აღმოფხვრას, რადგან შეუსაბამობები შესაძლოა, იყოს არასწორად გაგების ან არასწორი თარგმანის შედეგი, თუ თარჯიმნის საშუალებით მუშაობთ. თუ ხარვეზები ან შეუსაბამობები კვლავ იქნება, სცადეთ, იპოვნოთ მიზეზები მოწმესთან ერთად.

დარწმუნდით, რომ მოწმე ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ თუ მომავალში მის მიმართ ადგილი ექნება დაშინებას ან მასზე რაიმე სახის ძალადობას, ამის შესახებ თავის ადვოკატს უნდა შეატყობინოს.

ჩვენების მომზადება: გასათვალისწინებელი საკითხები

ჩვენება უნდა შეიცავდეს მკაფიო და კონკრეტულ დეტალებს

მნიშვნელოვანია, რომ ჩვენებაში მითითებული ინფორმაცია იყოს დეტალური, ნათლად და მკაფიოდ გადმოცემული. ჩვენება უნდა შეიცავდეს რაც შეიძლება მეტ რელევანტურ დეტალს და, ამავდროულად, ამოღებული უნდა იქნას საქმისათვის მნიშვნელობის არმქონე დეტალები. საჭიროზე გრძელი ჩვენება ან ჩვენება, რომელიც შეიცავს არარელევანტურ ინფორმაციას, ვერ დაეხმარება სასამართლოს/კომიტეტს იმის გადაწყვეტაში, თუ რა მოხდა სინამდვილეში. ჩვენებაში ზედმეტი მასალის ან ისეთი ინფორმაციის ასახვა, რომელზეც მოწმე ვერ შეძლებს პირადად მტკიცებულების წარდგენას, საფრთხეს შეუქმნის ჩვენების საიმედოობას ან მოახდენს ყურადღების გადატანას მოწმის მიერ წარმოდგენილი ძირითადი მტკიცებულებიდან.

თუკი მოწმის ჩვენებაში არის ხარვეზები ან შეუსაბამობები, აღნიშნულის მიზეზი მითითებული უნდა იქნეს ჩვენებაში. ჩვენება უნდა შეიცავდეს ფაქტებს და არა მოსაზრებებს.

მოწმეთა ჩვენებები ძირითადად, ფაქტობრივი გარემოებების აღწერაა. თავის ჩვენებაში მოწმემ, ზოგადად, უნდა მიუთითოს მხოლოდ ის ფაქტები, რომლებზეც ინფორმაციას ფლობს და არა მისი მოსაზრებები ან კომენტარები. აღნიშნული წესიდან არსებობს რამდენიმე გამონაკლისი. მაგალითად, თუკი მოწმე არის ექსპერტი, რომელსაც თხოვეთ თქვენი საქმის კონკრეტულ ასპექტთან დაკავშირებით პროფესიული მოსაზრების წარმოდგენა (მაგალითად, იგი არის სასამართლო სამედიცინო ექსპერტი, სამხედრო მოსამსახურე, ინჟინერი, აკადემიკოსი და ა.შ.), მაშინ მას შეუძლია, გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მისი კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება (თუმცა, მას არ აქვს საკუთარი კომპეტენციის სფეროს მიღმა ან საქმის სამართლებრივი არგუმენტების შესახებ მოსაზრების გამოთქმის უფლება). ამასთან, თუ მოწმის მოსაზრება მნიშვნელოვანია, აღნიშნული დეტალურად უნდა იქნეს გადმოცემული იმ მიზეზის მითითებით, თუ რატომ ჩამოუყალიბდა მოწმეს ამგვარი მოსაზრება. მაგალითად, თუკი მოწმეს სჯერა, რომ მისი ნათესავი ცოცხალი არ არის, რომ ის აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოქმედებდა, ან თუ მოწმეს სჯერა, რომ ინციდენტთან დაკავშირებით ხელისუფლების მიერ არ ჩატარებულა ჯეროვანი გამოძიება, აღნიშნულის შესახებ მან აუცილებლად უნდა მიუთითოს ჩვენებაში. ანალოგიურად, საჭიროებისამებრ, მოწმემ უნდა განმარტოს, თუ რას განიცდიდა ინციდენტის დროს ან შემდგომ. მაგალითად, მოწმემ შესაძლოა ახსნას, თუ რას განიცდიდა სახლში ჩხრეკის ჩატარებისას, ან მაშინ, როდესაც პოლიციამ ვერ შეძლო მისი დაცვა პროტესტის დროს ან პარტნიორის მხრიდან ძალადობისგან.

ნუ წარადგენთ გაგონილ ამბავზე დაფუძნებულ/ირიბ ჩვენებას, თუ აღნიშნულის თავიდან აცილება შესაძლებელია

გაგონილ ამბავზე დაფუძნებული/ირიბი ჩვენება არის მტკიცებულება, რომელიც ემყარება სხვის ნათქვამს და არა იმას, რაც მოწმემ პირადად იცის. მაგალითად, თუ მოწმე თვითონ არ იმყოფებოდა თავდასხმის დროს, მაგრამ იქ იყო დედამისი, რომელმაც მას მოუყვა მომხდარის თაობაზე და შემდეგ, ხოლო მოწმემ ეს ინფორმაცია მიუთითა თავის ჩვენებაში, ეს არის გაგონილი ამბავი/ირიბი ჩვენება. ამ შემთხვევაში ჩვენება აღებული უნდა იქნას მოწმის დედისგან, რომელიც უშუალოდ შეესწრო თავდასხმას. ზოგადად, ჩვენებები არ უნდა შეიცავდეს გაგონილ ამბავს/ირიბ ინფორმაციას, თუკი ჩვენების ჩამორთმევა შესაძლებელია ინფორმაციის პირველადი წყაროსაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარად არმოქცევისთვის საკმარისი მიზეზი არსებობს.

თუკი ჩვენების მიღება ინფორმაციის პირველწყაროდან არის შეუძლებელი, მოწმეთა ჩვენებები უნდა შეიცავდეს რაც შეიძლება მეტ ქვემოთ წარმოდგენილ დეტალს:

- ვინ მიაწოდა მოწმეს ეს ინფორმაცია;
- როდის და რა გარემოებაში იქნა ინფორმაცია მიწოდებული;
- რეალურად რა ითქვა ინფორმაციის წყაროს მიერ;
- როგორ იქცეოდა ინფორმაციის წყარო ამ დროს; და
- რატომ არის შეუძლებელი ჩვენების მიღება უშუალოდ ინფორმაციის წყაროსაგან?

ჩვენება გადმოცემული უნდა იყოს მოწმის სიტყვებით

ჩვენება მაქსიმალურად უნდა იყოს გადმოცემული მოწმის სიტყვებით და პირველ პირში, ანუ ისე, როგორც მოწმე ამას ჩვენების პირადად მიცემისას იტყოდა. მაგალითად, მოწმემ შესაძლოა თქვას, “მე ვქენი ეს...” ან “მე დავინახე ეს...”. ჩვენება უნდა დაიწეროს იმ სიტყვების მეშვეობით, რომელსაც მოწმე გამოიყენებდა და არა იურიდიული ენის გამოყენებით, და უნდა მომზადდეს იმ ენაზე, რომელიც მოწმეს ესმის.

ჩვენებები უნდა აღწერდეს მოვლენას ისე, როგორც ეს მოწმემ აღიქვა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა თქვენ რამდენიმე მოწმის ჩვენებას ამზადებთ ერთი და იმავე შემთხვევასთან დაკავშირებით. სასამართლომ ან კომიტეტმა შესაძლოა, სანდოდ არ მიიჩნიონ ჩვენებები, როცა ერთი და იმავე შემთხვევას რამდენიმე მოწმე იდენტური სიტყვებით აღწერს, იმის მიუხედავად, რომ მომხდარი მათ განსხვავებულად აღიქვეს, შემთხვევის დროს იმყოფებოდნენ სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს გაიგეს შემთხვევის შესახებ. ნუ მოამზადებთ ერთ ჩვენებას და ნუ გადაწერთ მას თითოეული მოწმის შემთხვევაში. თითოეულმა მოწმემ უნდა მისცეს საკუთარი ჩვენება, საკუთარი სიტყვებით, რომელიც მომხდარს მისი შეხედულების შესაბამისად აღწერს. მოწმის ჩვენება უნდა შეიცავდეს იმ

მტკიცებულებას, რომელსაც ისინი წარმოადგენდნენ სასამართლოს/კომიტეტის წინაშე ზეპირი მოსმენისას.

ჩვენება არ უნდა შეიცავდეს სამართლებრივ დასკვნებს ან არგუმენტებს

მოწმეთა ჩვენებები უნდა ასახავდეს მხოლოდ მოწმის მიერ მოწოდებულ მტკიცებულებებს. იგი არ უნდა შეიცავდეს სამართლებრივ არგუმენტებს ან მოსაზრებებს, როგორცაა მაგალითად: “ეს უტოლდება ევროპული კონვენციის დარღვევა” ან “ეს იყო მე-3 მუხლის დარღვევა”. ამგვარი ტიპის არგუმენტები აისახება მსხვერპლის ან მისი წარმომადგენლის მიერ გაგზავნილ თავდაპირველ განაცხადში ან დამატებით წარდგინებებში.

დარწმუნდით, რომ ჩვენება მოიცავს საქმისათვის მნიშვნელოვან ყველა საკითხს, მათ შორის მტკიცებულებებს, რომელიც იძლევა კონვენციის დარღვევასა და მსხვერპლის მიერ განცდილ ზიანს შორის ‘ცხადი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის’ დადგენის საშუალებას თუკი მოწმე ამტკიცებს, რომ კონვენციის დარღვევის შედეგად მას მიაღწა ფინანსური ან სხვა სახის ზიანი, აუცილებელია, რომ მოწმემ განმარტოს, თუ რა სახის ზიანი მიაღწა მას და როგორ გამოიწვია კონვენციის დარღვევამ მისთვის ზიანის ან დანაკარგის მიყენება. თუ არ დგინდება “ცხადი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი,” შესაძლოა სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს. მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას უნდა ადასტურებდეს ჩვენებები, რომლებიც განმარტავს, თუ როგორ მოხდა სავარაუდო მატერიალური ზიანის რაოდენობის განსაზღვრა. ჩვენებებს, ასევე, თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულება, მაგალითად:

- განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლოა, გამყარებულ იქნას საბანკო ამონაწერებით და გადახდის დამადასტურებელი ჩეკებით, რომელშიც მითითებული იქნება მანამდე გაცემული ხელფასის ოდენობა ან შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც მითითებული იქნება პირის ხელფასის ოდენობა.
- ქონებასთან დაკავშირებულ პრეტენზიებს შესაძლოა, გამყარებულ იქნას საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტებით, მსგავსი ქონების შესახებ ინფორმაციით საბაზრო ღირებულების დასადასტურებლად, ან მანამდე არსებული ქირავნობის ხელშეკრულებით ქირის სახით მიღებული შემოსავლის საჩვენებლად.
- სასამართლოსთან დაკავშირებული ხარჯების ან ჯარიმების გადახდის დადასტურება შესაძლებელია ქვითრებით.

როდესაც მოწმე თავად არის საქმეში განმცხადებელი და განაცხადის ფარგლებში სასამართლოს მიმართავს მოთხოვნით, რომ სახელმწიფოს დაევალოს გარკვეული ნაბიჯების გადადგმა (როგორცაა, მაგალითად, საქმის ხელახალი გამოძიება ან დაკავებულის განთავისუფლება), ეს მოწმემ შესაძლოა, საკუთარ ჩვენებაში განმარტოს და ახსნას, თუ რა ნაბიჯები

გადადგა მან უკვე, რათა წახალისებინა სახელმწიფო აღნიშნული ქმედებების განსახორციელებლად.

ჩვენებს დაურთეთ ნებისმიერი დამადასტურებელი ან გამამყარებელი მტკიცებულება

მოწმეთა ჩვენებას უნდა დაერთოს ნებისმიერი ხელმისაწვდომი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ან ამყარებს მოწმის მიერ გადმოცემულ ფაქტებს. მტკიცებულებათა რელევანტურობის განსაზღვრა დამოკიდებულია ინდივიდუალური საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, თუმცა, რელევანტური მტკიცებულების გავრცელებული მაგალითებია:

- ფოტოსურათები, გეგმები, ვიდეო-ჩანაწერები, რუკები ან დაიგრამები, რომლებიც ასახავს პირისათვის განცდილ ზიანს, შესაბამის პირებს, ადგილს, სადაც ინციდენტი ან ინციდენტები მოხდა, თანდართული მასალების წარმოშობის შესახებ ინფორმაციის მითითებით (მაგალითად, ვინ გადაიღო ფოტოები ან შექმნა რუკა; ფოტოების გადაღების თარიღი და დრო);
- პოლიციის ან გამოძიების მწარმოებელი სხვა ორგანოს ოქმები;
- სამედიცინო ხასიათის მტკიცებულებები (მაგალითად ექიმების დასკვნები, საავადმყოფოს ჩანაწერები ან ფსიქოლოგიური დასკვნები);
- ქვითრები, ინვოისები ან სხვა მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებენ დაკარგული ქონების ღირებულებას ან დაკარგული ქონების ჩანაცვლებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
- ნებისმიერი გადაწყვეტილება გამოტანილი ეროვნული სასამართლოების ან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, რომელიც დაკავშირებულია მოცემულ შემთხვევასთან ან შემთხვევებთან;
- სპეციალური კვლევა, საგაზეთო პუბლიკაცია ან სხვა ოფიციალური ანგარიშები, რომელიც შეეხება მომხდარ ფაქტს ან ქვეყანაში არსებულ სიტუაციას, თუ ეს რელევანტურია.

ჩვენებისათვის საბოლოო სახის მიცემა

ჩვენების მომზადების შემდეგ, მოწმეს შეუთანხმდით დროზე, რათა გადახედოს ჩვენებას და შეიტანოს მასში ცვლილებები, ჩვენების ხელმოწერასა და დათარიღებამდე. თუ ჩვენება თარჯიმნის საშუალებით იქნა მომზადებული, დარწმუნდით, რომ თარგმანი არის ზუსტი, ხოლო მოწმესთვის გასაგებია იმ ჩვენების ენა, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროს.

ინფორმაციის განახლება

საქმის მიმდინარეობისას, მოწმემ შესაძლოა, მოისურვოს ერთზე მეტი ჩვენების მიცემა, რელევანტური მოვლენების შემდგომი განვითარების გათვალისწინებით. განმცხადებლებს შესაძლოა, დასჭირდეს დამატებითი

გამაბათილებელი მტკიცებულების წარდგენა ან კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით პასუხის გაცემა მას შემდეგ, რაც მთავრობა ოფიციალურად უპასუხებს განაცხადს ან საქმეში წარადგენს გარკვეულ დოკუმენტებს. შეგიძლიათ, მოამზადოთ ერთი (ან მეტი) დამატებითი ჩვენება (ჩვენებები), რომელშიც წარმოდგენილი იქნება დამატებითი გარემოებები და სათაურში მიუთითოთ, რომ ეს არის დამატებითი ჩვენება ან მოწმისგან აღებული მეორე ჩვენება.

ანონიმურობა

საქმეში მომზადებული მოწმეთა ჩვენებები გადაეცემა მოპასუხე მთავრობას. ამავდროულად, განმცხადებლებმა, შესაძლოა, მოითხოვონ, რომ მოწმეთა ჩვენებები, ისევე, როგორც საქმესთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები, არ იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, “დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა ან ნებისმიერი დაინტერესებული პირის პირადი ცხოვრების დაცვა, ან პალატის თავმჯდომარის შეხედულებით, განსაკუთრებულ გარემოებებში, მკაცრი აუცილებლობის ზღვრამდე, თუ საჯაროობა ზიანს მიაყენებს მართლმსაჯულების ინტერესებს” (ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამართლოს რეგლამენტის [მუხლი 33\(2\)](#)).

დანართი 1: იმ საკითხების მაგალითები, რომლებიც უნდა აისახოს ჩვენებებში

ქვემოთ მოცემულია მოწმეებისათვის დასასმელი სავარაუდო კითხვების ჩამონათვალი და ის საკითხები, რომლებიც უნდა აისახოს ინდივიდუალურ ჩვენებებში. მოცემული კითხვები და თემები მხოლოდ მაგალითებია, ხოლო კონკრეტული კითხვები, რომლებიც მოწმეს უნდა დაუსვას, დამოკიდებულია იმ კონკრეტული საქმის ფაქტებზე, რომელზეც თქვენ მუშაობთ. ყველა მოწმეს არ შეუძლია ინფორმაციის მოწოდება ყველა მიმართულებით. პასუხებს თავი უნდა მოუყაროთ ჩვენებაში (ე.ი. პირველ პირში მომზადებულ თხრობით დოკუმენტში), როგორც ეს ზემოთ არის განმარტებული, და ისინი არ უნდა წარადგინოთ კითხვებისა და პასუხების ჩამონათვალის სახით.

კითხვები ყველა მოწმისათვის

1. მოწმე

- ა) სრული სახელი და გვარი;
- ბ) დაბადების თარიღი;
- დ) მისამართი; და
- ე) საქმიანობა.

2. ფაქტები

- ა) როდის (რომელ თარიღში, რა დროს) მოხდა ინციდენტი/ინციდენტები?
- ბ) სად იმყოფებოდა ამ დროს მოწმე? რას აკეთებდა?
- გ) ინციდენტის დროს ვინ იყო მოწმესთან ერთად? რამდენადაც ეს შესაძლებელია, მოახდინეთ თითოეული პირის იდენტიფიცირება და მიუთითეთ:

- პიროვნების სახელი და გვარი;
- მისი დაბადების თარიღი;
- მოწმის კავშირი თითოეულ იქ მყოფ პირთან, მაგალითად: მეზობელი, ძმა, მეგობარი და ა.შ.;
- თუ საქმე ეხება საჯარო მოხელეს, მისი სამუშაო უწყება და თანამდებობა;
- თუ მოწმე არ იცნობს მას, ამ პირის დამახასიათებელი თვისებები, ჩაცმულობა, ან უჩვეულო თავისებურებანი.

დ) რა დაინახა მოწმემ?

ე) რა თქვა ან გააკეთა თითოეულმა დამსწრე პირმა?

ვ) რა შედეგი მოჰყვა ინციდენტს?

ზ) იქნა თუ არა მიყენებული რაიმე ზიანი?

თ) დადებითი პასუხის შემთხვევაში, ვინ ან რამ გამოიწვია ზიანი? მიუთითეთ მონაწილე პირების შესახებ რაც შეიძლება მეტი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, მათ შორის:

- ნებისმიერი გამოყენებული სახელი;
- მონაწილე პირთა თანამდებობა ან თანამდებობები;
- ნებისმიერი უნიფორმა და სატრანსპორტო საშუალების მოდელი;
- სასაუბრო ენა;
- გამოყენებული იარაღი ან სხვა საშუალებები;
- ნებისმიერი სხვა მაიდენტიფიცირებელი ნიშანი, როგორცაა წვერი, შრამი და ა.შ.

ი) როგორი იყო მსხვერპლის ან მსხვერპლთა ჯანმრთელობის ან ქონების მდგომარეობა ინციდენტამდე?

კ) რა მოიმოქმედა მოწმემ ან სხვა დამსწრე პირმა უშუალოდ ინციდენტის შემდეგ?

ლ) თუ მსხვერპლი წაიყვანეს:

- როგორ წაიყვანეს?
- ვინ წაიყვანა? როგორ გამოიყურებოდნენ ისინი? (ასევე, იხ. ზემოთ კითხვა 2 (თ))
- წაიყვანეს თუ არა სხვაც მასთან ერთად?
- სად წაიყვანეს?
- რამდენი ხნით ყავდათ იქ?
- თუ ის გადაიყვანეს სხვა ადგილას, როდის გადაიყვანეს და სად?

მ) არსებობენ თუ არა კიდევ ინციდენტის სხვა მოწმეები, რომელთა დადგენაც მანამდე არ მომხდარა? დადებითი პასუხის შემთხვევაში, იცით თუ არა, როგორ შეიძლება მათთან დაკავშირება?

დამატებითი შეკითხვები იმ მოწმეებისათვის, რომლებიც თავად არიან მსხვერპლნი

3. სამართლებრივი დაცვის ეროვნული ან სხვა საშუალებები

ა) ჩატარდა თუ არა ადგილობრივი ან ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ რაიმე სახის გამოძიება?

ბ) თუკი მომხდარის თაობაზე ეცნობა ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს (მაგალითად საჯარო მოხელეს), ვის ეცნობა და ვის მიერ? სად იმყოფებოდა საჯარო მოხელე? რა განაცხადა, რომ რას მოიმოქმედებდა?

გ) სხვა რა სახის სამართლებრივი ხასიათის ნაბიჯები გადადგა მსხვერპლმა? რომელი სასამართლო/ტრიბუნალი განიხილავდა საჩივარს? რა შედეგი/შედეგები მოჰყვა ამას?

დ) მიღებულ იქნა თუ არა რაიმე სახის წერილობითი გადაწყვეტილება ან დასკვნა? აქვს თუ არა მსხვერპლს აღნიშნული დოკუმენტების ასლები? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, შეუძლია თუ არა მას ამ დოკუმენტების ასლების მოპოვება?

ე) სამართლებრივი ხასიათის სხვა რა ზომების განხორციელება იყო შესაძლებელი? თუკი არსებობდა სხვა სამართლებრივი საშუალებები, რატომ არ ისარგებლა მან აღნიშნული საშუალებებით?

- ვ) როდის დასრულდა ბოლო სამართლებრივი ხასიათის ზომა?
- ზ) თუ სამართლებრივი ხასიათის ბოლო ზომიდან გასულია 6 თვეზე მეტი, არის თუ არა სახეზე განგრძობადი დარღვევა?
- თ) მიმართა თუ არა მსხვერპლმა საჩივრით რომელიმე სხვა საერთაშორისო სასამართლოს ან ტრიბუნალს?

4. ინციდენტის გავლენა მსხვერპლზე

- ა) რა სახის გავლენა იქონია შემთხვევამ მსხვერპლზე?
- ბ) განიცადა თუ არა მსხვერპლმა ფიზიკური ზიანი? დადებითი პასუხის შემთხვევაში, დეტალურად აღწერეთ თუ როდის, სად და რა სახის ზიანი განიცადა მან.
- გ) განიცადა თუ არა მსხვერპლმა რაიმე სახის ემოციური ან ფსიქოლოგიური ზიანი, მათ შორის რაიმე სახის ტანჯვა/ტკივილი? დადებითი პასუხის შემთხვევაში, დეტალურად აღწერეთ, თუ როდის, სად და რა სახის ზიანი განიცადა მან.
- დ) მიმართა თუ არა მსხვერპლმა სამედიცინო ან სხვა სახის დახმარებას? თუ კი, ვის მიმართა? რა ხასიათის დახმარება გაუწიეს და რა იყო აღნიშნული დახმარების გაწევის საფასური?
- ე) რა სახის ხანგრძლივი მკურნალობა იქნა რეკომენდებული?
- ვ) ინციდენტის შედეგად მსხვერპლი კვლავ განიცდის თუ არა რაიმე სახის ფიზიკურ, ემოციურ ან ფსიქოლოგიურ ზიანს?

5. ზარალი – მიწა (თუ რელევანტურია)

- ა) თავდასხმამდე მიწის რომელი ნაკვეთი იყო მსხვერპლის განკარგულებაში?
- ბ) რა ხასიათისა და მოცულობის ზარალი მიადგა მიწას?
- გ) წარმოადგენდა თუ არა მიწა მსხვერპლის საკუთრებას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, აქვს თუ არა გადასახდელი მსხვერპლს აღნიშნული მიწის შეძენის საფასური?
- დ) ჰქონდა თუ არა მსხვერპლს მიწა იჯარით აღებული? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რამდენი გადაიხადა მან იჯარისთვის?
- ე) როგორ გამოიყენებოდა მიწა? რომელი მონაკვეთი გამოიყენებოდა მცენარეული კულტურის მოსაყვანად? მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ყოლისათვის, შენობებისთვის და ა.შ.?
- ვ) იღებდა თუ არა მსხვერპლი მიწასთან დაკავშირებულ იჯარის საფასურს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)?
- ზ) რა რაოდენობის შემოსავალს იღებდა მსხვერპლი მიწისგან მოსავლის გაყიდვისა თუ სხვა საშუალებით?

თ) როგორ აფასებს მსხვერპლი იმ პროდუქტების ფულად ღირებულებას, რომელიც მოცემული მიწიდან იყო მიღებული და რომელიც მისი უშუალო ოჯახის წევრების მიერ გამოიყენებოდა?

ი) რამდენი და რა სახის პირუტყვი ყავდა მსხვერპლს მოცემულ მიწის ნაკვეთზე? როგორ აფასებს თავად მსხვერპლი მათ ფულად ღირებულებას? რა უდევს საფუძვლად აღნიშნულ შეფასებას?

კ) ინციდენტის დროისათვის რამდენი და რა სახის მცენარეული კულტურა იზრდებოდა მოცემულ მიწის ნაკვეთზე? როგორ აფასებს მსხვერპლი მათ ფულად ღირებულებას? რა უდევს საფუძვლად აღნიშნულ შეფასებას?

ლ) სხვა რა რესურსი იყო მოცემულ მიწის ნაკვეთზე? მაგალითად, წყლის რეზერვი და ა. შ.

მ) რამდენი სული ცხოვრობდა ან იღებდა სარგებელს მოცემული მიწის ნაკვეთიდან?

ნ) რა სახის ზარალი განიცადა მსხვერპლმა მიწის ნაკვეთისათვის მიყენებული ზარალის შედეგად?

6. ზარალი – შენობები (თუ რელიევანტურია)

ა) რამდენი და რა სახის შენობები იყო მსხვერპლის განკარგულებაში?

ბ) რა ხასიათისა და მოცულობისაა აღნიშნული შენობებისათვის მიყენებული ზარალი?

გ) წარმოადგენდა თუ არა მოცემული შენობა მსხვერპლის საკუთრებას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, აქვს თუ არა გადასახდელი მსხვერპლს აღნიშნული შენობის შეძენის ან მშენებლობის საფასური?

დ) ჰქონდა თუ არა მსხვერპლს შენობა ქირით/იჯარით აღებული? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რამდენს იხდიდა იგი ქირისთვის/იჯარისთვის?

ე) იღებდა თუ არა მსხვერპლი ქირის/იჯარის საფასურს შენობიდან? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რამდენს იღებდა?

ვ) რა ფართობის იყო შენობა? რამდენი სართული ჰქონდა მას?

ზ) როგორი კონსტრუქციის იყო შენობა?

თ) რამდენად აფასებს მსხვერპლი შენობას? რა უდევს საფუძვლად აღნიშნულ შეფასებას?

ი) რამდენი ხნის განმავლობაში იყო მსხვერპლი შენობის მესაკუთრე ან დამქირავებელი/მოიჯარე?

კ) რა სახის ზარალი განიცადა მსხვერპლმა შენობისათვის მიყენებული ზიანის შედეგად?

7. ზარალი – პირადი ქონება (თუ რელიევანტურია)

ა) გარდა მიწის ნაკვეთის, შენობებისა და საქონლისა, სხვა რა ქონება იყო მსხვერპლის საკუთრებაში? მაგალითად: ავეჯი, ინვენტარი, ტანსაცმლის, ნახატები და ფოტოსურათები.

ბ) რამდენად აფასებს მსხვერპლი დაკარგულ ნივთებს? რა უდევს საფუძვლად აღნიშნულ შეფასებას?

გ) შეიძლება თუ არა აღნიშნული ნივთების შეცვლა/ჩანაცვლება? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რა იქნება აღნიშნულის ღირებულება?

8. განაცდური (წარსულსა და მომავალში)

ა) რა შემოსავალს იღებდა მსხვერპლი ინციდენტამდე?

ბ) რა შემოსავალს იღებს მსხვერპლი ამჟამად?

გ) შეიძლება თუ არა აღნიშნული შეიცვალოს მომავალში? თუ შეიძლება, რატომ?

დ) რამდენად იყო მომხდარი ინციდენტი აღნიშნული ცვლილების მიზეზი?

9. თუკი მსხვერპლმა დაკარგა ან გაუნადგურდა სახლი/მისი ქონება, რამდენი გადაიხადა მან ინციდენტის მომენტიდან და რამდენს იხდის ამჟამად:

ა) ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის ქირავნობისათვის?

ბ) კვებისა და სხვა საჭიროებებისთვის?

გ) ტანისამოსისათვის?

დ) კომუნალური მომსახურებისათვის, მაგალითად, ელექტროენერჯის/გათბობის ხარჯებისათვის?

ე) სხვა ხარჯებისათვის, რომელთა გაწევაც ინციდენტის გამო მოუხდა?

10. ეროვნულ დონეზე ჩატარებული სამართალწარმოების ფარგლებში გაწეული სამართლებრივი ხარჯები, დანახარჯები და ჯარიმები:

ა) მოცემული დროისათვის რამდენია მსხვერპლის მიერ გაწეული ხარჯები და დანახარჯები სამართლებრივი მომსახურებისთვისა და ეროვნულ სასამართლოებში თუ სხვა უწყებებში საქმის განხილვისათვის?

ბ) გადაიხადა თუ არა მსხვერპლმა რაიმე სახის ჯარიმა ეროვნულ დონეზე ჩატარებული სამართალწარმოების ფარგლებში? თუ კი, რამდენი და როდის?

ბ) რა დოკუმენტები შეუძლია, წარადგინოს მსხვერპლმა გადახდილი ხარჯების, დანახარჯებისა და ჯარიმების დასადასტურებლად?

დანართი 2: მოწმის ჩვენება (ნიმუში)

1. სათაურში მიუთითეთ საქმის განმხილველი სასამართლოს დასახელება, საქმის სახელი და განაცხადის ნომერი (თუ ცნობილია), მხარეები, და ჩვენების წარმდგენი მოწმის სახელი, მაგალითად:

“ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

განაცხადი No.12345/67

მხარეები:

ოლგა ივანოვა (განმცხადებელი)

-და-

რუსეთი (მოპასუხე)

განმცხადებელ ოლგა ივანოვას ჩვენება მოწმის სტატუსით

2. პირველ პუნქტში მოახდინეთ მოწმის იდენტიფიცირება და მიუთითეთ მისი სრული სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, მისამართი, საქმიანობა, მაგალითად:

“ჩემი სახელია ოლგა ანასტასია ივანოვა. მე დავიბადე 1970 წლის 3 ივნისს, ქ. სანკ-პეტერბურგში, რუსეთი. 2018 წლიდან ვცხოვრობ და ვმუშაობ მოსკოვში, ვარ ექიმი. ჩემი მისამართია: მირას პროსპექტი 352, ბინა 42, 129128, მოსკოვი, რუსეთი”

3. განმარტეთ მოწმის შემხებლობა საქმესთან, მაგალითად:

“მე ვარ საქმეში პირველი მომჩივანი” ან “მე ვარ ვლადიმირ ივანოვის დედა, რომელიც 2019 წლის 1 იანვარს გარდაიცვალა” ან “მე შევესწარი 2018 წლის 3 მაისის დამეს თავისუფლების მოედანზე გამართულ პროტესტს.”

4. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოადგინეთ ის ფაქტები, რასთან დაკავშირებითაც მოწმე იძლევა ჩვენებას. დანომრეთ პუნქტები და გვერდები. გრძელი ჩვენების დასაყოფად გამოიყენეთ სათაურები და ქვე-სათაურები.

5. თუ მოწმეს სურს, დანართის სახით წარმოადგინოს დოკუმენტები ან სხვა მტკიცებულება, ამის შესახებ მათ ჩვენებაში უნდა მიუთითონ და დააფიქსირონ დანართის ნომერი, მაგალითად:

“2018 წლის 3 მაისს მე მოედანზე 15:45სთ-ზე ვიმყოფებოდი, როდესაც პოლიციამ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პროტესტი დაშალა. მე მოედნის კუთხეში ვიდექი, ძეგლთან არსებულ კიბეებთან და დემონსტრანტების მხარეს ვიყურებოდი. იმ ადგილიდან კარგად ვხედავდი მიმდინარე მოვლენებს. 15:45სთ-დან 15:55სთ-მდე გადავიღე 25 ფოტო. წარმოვადგენ ამ ფოტოებს დანართი 1-ის სახით.”

6. ჩვენების დასასრულს, დაადასტურეთ ფაქტების სისწორე, მაგალითად:

“მე მჯერა, რომ ჩემს ჩვენებაში წარმოდგენილი ფაქტები არის სწორი.”

7. მიუთითეთ მოწმის სახელი და გვარი და დატოვეთ ადგილი ჩვენების ხელმოსაწერად და დასათარიღებლად.

8. მიუთითეთ დანართის ჩამონათვალი. თუ დანართი რამდენიმე დოკუმენტს შეიცავს, მაგალითად, რამდენიმე ფოტოს, განმარტეთ, თუ რას შეეხება თითოეული მათგანი:

“დანართი 1: თავისუფლების მოედნის მონუმენტიდან გადაღებული ფოტოები, 2018 წლის 3 მაისი

ფოტო 1: ხაზში მდგარი პოლიციელები

ფოტო 2: დემონსტრანტებს ტრანსპარანტები უჭირავთ

ფოტო 3: ვლადიმერზე ხელკეტით განხორციელებული თავდასხმა”



Middlesex University
The Burroughs
Hendon NW4 4BT
Tel: +44 208 411 2826
www.ehrac.org.uk
ehrac@mdx.ac.uk

EHRAC შექმნილია მიდლსექსის უნივერსიტეტში. საქველმოქმედო ორგანიზაციების 1960 წლის აქტის თანახმად, უნივერსიტეტი არის საქველმოქმედო ორგანიზაცია.



წინამდებარე გამოცემა შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ EHRAC და იგი არ ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.